რელიგიის თავისუფლების ფარგლები პანდემიის დროს

შესავალი

Covid-19-ის მიერ გამოწვეული პანდემიის საწინააღმდეგოდ და დაავადების გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს ხელისუფლებამ, სხვა შეზღუდვებთან ერთად, დააწესა რეგულაციები, რომლითაც აიკრძალა საჯარო სივრცეში სამზე მეტი პირის შეკრება და 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე - სატრანსპორტო საშუალებით[1], ასევე 17 აპრილიდან დაწესდა შეზღუდვა მსუბუქი ავტომობილით გადაადგილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, პირთა გარკვეული ჯგუფები უარს აცხადებენ ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების შესრულებაზე. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია, რომელიც არ აპირებს მსახურების დროებით შეჩერებას და მეტიც, სასულიერო პირები ღიად მოუწოდებენ მრევლს, დაესწრონ წირვას ეკლესიაში[2]. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით საგანგაშოა მოახლოებული აღდგომის ფონზე, რომელსაც როგორც წესი მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიაში ხვდება. ამდენად, არსებობს საფრთხე, რომ მორწმუნეები, მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების მიუხედავად, მაინც შეიკრიბებიან, რაც სერიოზულად ზრდის ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ არ არის საკმარისი შეკრებისა და გადაადგილების უფლებაზე დაწესებული რეგულაციები და საჭიროა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაც.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტით რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს ამ უფლებიდან დეროგაციის შესაძლებლობას[3]. თუმცა, მზღუდავი ღონისძიების განხორციელება შესაძლებელია საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის გარეთ, კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. არსებობს რამდენიმე გზა, რომლის საშუალებითაც ხელისუფლებას შეუძლია პირდაპირ შეზღუდოს ეკლესიაში შეკრება და რიტუალის ჩატარება, თუმცა ჯერჯერობით, არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება. საქართველოს ხელისუფლება ერიდება საპატრიარქოსთან პირდაპირ კონფრონტაციას და მხოლოდ ირიბი გზებით, როგორიცაა ავტომობილებით გადაადგილების შეზღუდვა, მრევლისთვის მოწოდებების გაკეთება, დარჩნენ სახლში და სხვა, ცდილობს თავიდან აირიდოს კიდევ უფრო მძიმე კრიზისი, რომელიც სააღდგომოდ მრევლის ეკლესიაში მასობრივ შეკრებას შეიძლება მოჰყვეს.

აშკარაა, რომ ამგვარი მიდგომა არაეფექტურია. ამას მოწმობს თუნდაც 2020 წლის 17 აპრილს საპატრიარქოს მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება, სადაც იგი ერთი მხრივ ხაზს უსვამს, რომ მსუბუქ ავტომობილებთან დაკავშირებული შეზღუდვა მათთან არ იყო შეთანხმებული (მაშინ როდესაც სეკულარიზმის პრინციპი სახელმწიფოს ავალდებულებს არ ჩარიოს რელიგიური

---

[1] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2] იხ. <https://civil.ge/ka/archives/347082> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[3] საქართველოს კონსიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

გაერთიანებები საერო გადაწყვეტილებების მიღებაში), მეორე მხრივ კი აღნიშნავს, რომ აღნიშნული შეზღუდვა რელიგიური მსახურების განმახორციელებელ პირებს არ ეხება.[4]

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, წარმოდგენილ დოკუმენტში გაანალიზებულია ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც ადგენს რელიგიის თავისუფლების დაცულ სფეროსა და შეზღუდვის სტანდარტებს, მასზე დაყრდნობით კი შემოთავაზებულია ის გზები, რომლის გამოყენებითაც საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო/შეუძლია დააწესოს პირდაპირი შეზღუდვები ეკლესიებში მრევლის შეკრებასთან დაკავშირებით და ამდენად თავიდან აირიდოს ვირუსის მასობრივი გავრცელება.

GDI იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება შეასრულებს მასზე კონსტიტუციით დაკისრებულ ვალდებულებებს, გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას და მიიღებს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტ ზომებს, რითაც შესაძლებელი გახდება პანდემიის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა და ასობითა და ათასობით სიცოცხლის გადარჩენა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული სფერო

საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმადაც: „ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.“ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც განუყოფელია პლურალიზმის ღირებულებაზე მდგარი დემოკრატიული საზოგადოებისგან. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მათ შორის, მიუთითებს ის, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია თუ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულება განამტკიცებს. იმის ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა, თუ რა მოიაზრება „რელიგიის თავისუფლებაში“[5], „რწმენის თავისუფლებასა“[6] თუ „აღმსარებლობის თავისუფლებაში“, შესაბამისად, ამ თავისუფლებებით დაცული სფეროს ფარგლების აბსოლუტური სიზუსტით დადგენა, პრაქტიკულად შეუძლებელია და არც ამის გაკეთების საჭიროების წინაშე ვდგავართ. თუმცა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკის თანახმად ცხადად შეიძლება იმ სფეროების გამოკვეთა, რომლებსაც რელიგიის თავისუფლება ნამდვილად იცავს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას აქვს ორი განზომილება, რომელთა გამიჯვნასაც უფლების შეზღუდვის შესაძლებლობისა და ფარგლების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს: შინაგანი (Forum Internum) და გარეგანი (Forum Externum). საქართველოს კონსტიტუციის მე-16

---

[4] იხ. < https://patriarchate.ge/news/2600> [ბოლო ნახვა 17.04.2020]

[5] ამ ტერმინს, როგორც წესი, საერთაშორისო ხელშეკრულებები იყენებენ და მასში მოიაზრება, უპირველესყოვლისა, ის ასპექტები, რომლებსაც მე-16 მუხლში ნახსენები „აღმსარებლობის თავისუფლება“ მოიცავს, თუმცა გარკვეულწილად მას, ასევე, აქვს კვეთა „რწმენის თავისუფლებასთანაც“.

[6] საკონსტიტუციო სასამართლომ მასზე განმარტება გააკეთა 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილებაში საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". მან აღნიშნა, რომ რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას, გაიზიაროს ესა თუ ის რწმენა, შეცვალოს ან უარყოს ის, „თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები“. სასამართლომ რწმენის თავისუფლების ნაწილად მიიჩნია მისი გამოვლენის უფლებაც. ამასთანავე, მან რწმენისა და რელიგიის თავისუფლებების მიმართებაზეც იმსჯელა და აღნიშნა, რომ რწმენის თავისუფლება რელიგიურთან ერთად არარელიგიურ რწმენასაც მოიცავს და რომ რწმენის თავისუფლება არ უდრის რელიგიის თავისუფლებას, არამედ - „ის მოიცავს რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროს, მაგრამ არ შემოიფარგლება მისით.“

მუხლი ორივე განზომილებას იცავს. შინაგან განზომილებაში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ადამიანის თავისუფლება, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, გაიზიაროს, შეცვალოს ან უარყოს რწმენა. ასეთია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება ცნობილ ე.წ „რეზერვის საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებაში. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „რწმენის თავისუფლება მოიცავს მისი გამოვლენის – რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც“.[7] რწმენის გამოვლენა უკვე რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგან განზომილებაში ექცევა. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი ასპექტით დაცული ქმედებების მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, რელიგიური განათლების მიცემა, რელიგიური სამოსის ტარება, რელიგიური ნაგებობების აშენება და სხვა.

ამრიგად, რელიგიისა და რწმენის გამოხატვა, მისი მანიფესტაცია ამ თავისუფლების გარეგან განზომილებაში ექცევა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ უთითებს ამგვარ ქმედებებზე[8]: „ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.” ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Cyprus v. Turkey მიიჩნია, რომ ზომებით, რომლებითაც მართლმადიდებელ კვიპროსელებს არ ეძლეოდათ საშუალება, დაეტოვებინათ სოფლები და დასწრებოდნენ რელიგიურ ცერემონიებს სალოცავ ადგილებში ან მისულიყვნენ მონასტერში, ხდებოდა მათ რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა.[9] მსგავსად ამისა, საქმეში Pavlides and Georgakis v. Turkey ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მონაწილეობა ეკლესიაში გამართულ ღვთისმსახურებაში წარმოადგენდა მათი რწმენის მანიფესტაციას და, შესაბამისად, ექცეოდა კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ სფეროში.[10]

ევროკონვენციის მსგავს ჩანაწერს შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც, რომლის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიას და მრწამსს, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძოდ, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით და მოძღვრებითა და სწავლებით.“ გენერალურ კომენტარში განმარტებულია, რომ ეს უფლება განამტკიცებს, მათ შორის, საღვთისმსახურო რიტუალში მონაწილეობის შესაძლებლობას.[11]

ამრიგად, ეკლესიაში სალოცავად შეკრება და საღვთისმსახურო რიტუალში მონაწილეობა ცალსახად ექცევა როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე - ევროკონვენციითა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტით განტმკიცებულ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროში, კერძოდ კი, მის ე.წ გარეგან განზომილებაში (Forum Externum).

---

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-13.

[8] იმაზე, რომ ეს ქმედებები გარეგან განზომილებაში ექცევა, მათ შორის, მეტყველებს კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ამ ქმედებების შეზღუდვის შესაძლებლობას.

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Cyprus v. Turkey.

[10] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Pavlides and Georgakis v. Turkey.

[11] UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), 30 July 1993, CCPR/C/21/Rev.1/Add.4

შეზღუდვის სტანდარტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, რელიგიის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ისინი არ არის აბსოლუტური. კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“[12]. ეს ნორმა არ ვრცელდება რწმენის თავისუფლების შინაგან ასპექტზე (Forum Internum), რომელიც „გულისხმობს სახელმწიფოსგან ჩარევის გარეშე, ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისადმი მიკუთვნებას (პოზიტიური თავისუფლება), ან უარყოფას, შეცვლას (ნეგატიური თავისუფლება), ანუ ადამიანის აზროვნების შინაგანი სფეროს დაცვას“[13]. ამისგან განსხვავებით, დასაშვებია შეიზღუდოს გარეგანი ასპექტი (Forum Externum), რომელიც „მოიცავს მისი გამოვლენის - რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც (მოქმედების სფერო)“[14]. აქედან გამომდინარე, რწმენის თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება ჯანმრთელობის დასაცავად. ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შეზღუდვის დაწესებას ასევე ითვალისწინებს როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, ისევე - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიონ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩარევა გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ევროპული კონვენციით დადგენილ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში[15]. ჩარევა კანონით გათვალისწინებულია, თუ იგი ეყრდნობა ეროვნულ კანონმდებლობას, ხელმისაწვდომია და ჩამოყალიბებულია საკმარისი სიცხადით, რაც პირს თავისი ქმედებების შედეგების გონივრულად განჭვრეტის შესაძლებლობას მისცემს[16]. რაც შეეხება დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის წინაპირობას, ეს ნიშნავს, რომ შეზღუდვა უნდა პასუხობდეს გადაუდებელ სოციალურ საჭიროებას, უნდა იყოს მიზნის პროპორციული და ეფუძნებოდეს საკმარის და რელევანტურ მიზეზებს[17]. ევროსასამართლომ ჯანმრთელობის დასაცავად კონვენციის მე-9 მუხლში ჩარევა რამდენჯერმე არ მიიჩნია დარღვევად, როცა ზემოაღნიშნული კრიტერიუმები კმაყოფილებოდა. ერთ-ერთ საქმეში, მაგალითად, მოსარჩელემ გაასაჩივრა მისი დამსაქმებლის მიერ დაწესებული შეზღუდვები სამუშაო ადგილზე ყოფნისას კისერზე ჯვრის ტარებაზე[18]. კერძოდ, იგი მუშაობდა ექთნად გერიატრიულ სამედიცინო პალატაში, რომელშიც მოქმედებდა ჯანმრთელობის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკაზე დაფუძნებული წესი[19].

---

[12] საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამათლოს 2011 წლის 22 დეკემბრის # 1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პ. 12.

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამათლოს 2011 წლის 22 დეკემბრის # 1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პ. 12.

[15] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF DOGRU v. FRANCE, § 49.

[17] Guide on Article 9 of the European Convention on Human Rights by the Council of Europe, 31th December 2019, § 42.

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM.

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 96.

ამ წესის თანახმად, პაციენტების მართვისას/მკურნალობისას იკრძალებოდა ყელსაბმის ტარება დაზიანების რისკის შესამცირებლად და თუ თანამშრომელს სურდა რელიგიური ან კულტურული მიზეზის გამო რაიმე საგნის ტარება, მაშინ უნდა მიემართა მენეჯერისთვის, რომელსაც არ ჰქონდა უსაფუძვლოდ უარის თქმის უფლება[20]. ევროსასამართლოს განმარტებით, ეს შეზღუდვა ემსახურებოდა პაციენტებისა და ექთნების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას[21]. მტკიცებულებებით დასტურდებოდა რისკი, რომ ავადმყოფს სტრესის გამო შეეძლო ყელსაბამის მოქაჩვით საკუთარი თავის ან მედპერსონალის დაზიანება და ასევე შესაძლებელი იყო, რომ ჯვარი შეხებოდა ღია ჭრილობას[22]. გარდა ამისა, სხვა თანამშრომლებსაც რამდენჯერმე მოსთხოვეს რელიგიური აქსესუარების/ატრიბუტების მოხსნა, ხოლო თავად მოსარჩელეს შესთავაზეს ჯვრის მიმაგრება ან ტანსაცმლის შიგნით ტარება[23]. აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში არ დარღვეულა რწმენის თავისუფლება, რადგან შეზღუდვა ემსახურებოდა ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს და პროპორციული, აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში[24], განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ კლინიკური და სამედიცინო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოს მიხედულების ზღვარი, ანუ დისკრეცია ფართოა[25].

დღეს კორონავირუსის გამო შექმნილი კრიზისის ფონზე, გადამდები დაავადების პრევენციის კუთხით, ასევე საინტერესოა შედარებით ძველი, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილება, რომელშიც მოსარჩელეს თავისი რწმენიდან გამომდინარე კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ჰქონდა ჯანდაცვის სერვისში გაწევრიანების მიმართ, ხოლო წევრობის გარეშე მას არ ჰქონდა პირუტყვის შენარჩუნების უფლება[26]. კომისიამ განმარტა, რომ სადავო შეზღუდვა კანონით იყო გათვალისწინებული და ასევე ემსახურებოდა სხვათა ჯანმრთელობის დაცვის მიზანს. კერძოდ, სადავო რეგულაცია მიღებული იყო მსხვილ რქოსან საქონელს შორის ტუბერკულიოზის საწინააღმდეგოდ, ხოლო კონვენციით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვა მოიცავდა დაავადების (გავრცელების) პრევენციას[27]. შესაბამისად, საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა ამ მიზნით მიღებული ზომები, რომლებიც აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში[28]. ამიტომ კომისიამ სარჩელი დაუშვებლად ცნო[29].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსი მიდგომა აქვს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რომელიც განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დარღვევათა შესახებ. პაქტის მე-18

---

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 96.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 98.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 98.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 98.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 100.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, § 99.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1962 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე X v THE NETHERLANDS, გვ. 280, 282.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1962 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე X v THE NETHERLANDS, გვ. 284.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1962 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე X v THE NETHERLANDS, გვ. 284.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1962 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე X v THE NETHERLANDS, გვ. 286

მუხლის მე-3 პუნქტი იყენებს რწმენისა და რელიგიის მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის სტანდარტს, რომელიც ევროკონვენციასთან დაახლოებულია. ICCPR-ის მიხედვით, შეზღუდვა არადისკრიმინაციულად და კანონით უნდა იყოს დადგენილი[30]. ის უნდა პირდაპირ უკავშირდებოდეს და პროპროციულად მიემართებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანს ან მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია პაქტის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტში[31]. ამ მიზნებს შორის, ევროკონვენციის მსგავსად, გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვა. ამ თვალსაზრისით, რელევანტურია ერთ-ერთი ინდივიდუალური საჩივარი. საჩივრის ავტორის მიხედვით, დაირღვა მისი რელიგიის გამოხატვის თავისუფლება იმით, რომ სამუშაო ადგილას ჩალმის ნაცვლად უსაფრთხოების ჩაფხუტის ტარებაზე უარის გამო სამსახურიდან დაითხოვეს სადავო საკანონმდებლო რეგულაციის საფუძველზე[32]. მოპასუხე სახელმწიფოს მიხედვით, ამ რეგულაციის მიზანი იყო სამუშაო ადგილას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა[33]. კომისია დაეთანხმა სახელმწიფოს, არ დაადგინა უფლების დარღვევა და განმარტა, რომ შეზღუდვა გამართლებული იყო პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ საფუძვლებზე დაყრდნობით[34].

დეროგაცია საგანგებო მდგომარეობისას

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის უფლების შეზღუდვას[35]. ანალოგიურად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის დროს დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა, ანუ ამ უფლებიდან მომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებებიდან დროებით გადახვევა[36]. პაქტისა და კონსტიტუციისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დასაშვებია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებიდან, ანუ კონვენციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან გადახვევა[37], თუ კუმულაციურად კმაყოფილდება შემდეგი წინაპირობები: 1. გადახვევა უნდა განხორციელდეს ომის ან ერის არსებობისთვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს; 2. დასაშვებია ომის ან აღნიშნული საგანგებო მდგომარეობის საპასუხოდ ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე; 3. ეს ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს[38]. პირველ წინაპირობასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ერის არსებობისთვის საშიში საგანგებო მდგომარეობა არის „კრიზისული ან საგანგებო საგამონაკლისო მდგომარეობა, რომელიც ზემოქმედებს მთლიან მოსახლეობაზე და წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოს შემადგენელი

---

[30] ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1997 23 სექტემბრის ზოგადი კომენტარი No. 22, § 8.

[31] ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1997 23 სექტემბრის ზოგადი კომენტარი No. 22, § 8.

[32] ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული 1989 წლის 28 ნოემბრის Nos. 208/1986 ინდივიდუალური საჩივარი Karnel Singh Bhinder v. Canada, § 1.

[33] ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული 1989 წლის 28 ნოემბრის Nos. 208/1986 ინდივიდუალური საჩივარი Karnel Singh Bhinder v. Canada, § 4.2.

[34] ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული 1989 წლის 28 ნოემბრის Nos. 208/1986 ინდივიდუალური საჩივარი Karnel Singh Bhinder v. Canada, § 6.2.

[35] საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[36] ამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[37] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

[38] Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights by the Council of Europe, 31th December 2019, § 6.

საზოგადოების ორგანიზებული ცხოვრებისათვის“[39]. შესაბამისად, ასეთი მდგომარეობა უკვე უნდა არსებობდეს ან უნდა იყოს გარდაუვალი[40]. მას ასევე უნდა ჰქონდეს საგამონაკლისო ხასიათი, რაც ნიშნავს, რომ ვითარების გადასაჭრელად კონვენციით დაშვებული ჩვეულებრივი ზომები საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის და ჯანმრთელობის დასაცავად არაადეკვატურია[41]. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მეორე წინაპირობას, სასამართლო იმის შეფასებისას, იყო თუ არა მიღებული ზომები მკაცრად აუცილებელი და საჭირო, ყურადღებას აქცევს რამდენიმე ფაქტორს, როგორებიცაა: იქნებოდა თუ არა ჩვეულებრივი საკანონმდებლო ღონისძიებები საკმარისი; საგანგებო ზომები იყო თუ არა გულწრფელად პრობლემაზე საპასუხოდ მიღებული; იყო თუ არა ეს ზომები პროპორციული და იმ მიზნების მისაღწევად გამოყენებული, რომელთა გამოც ამოქმედნენ; შეიძლებოდა თუ არა მათი გადახედვა, მათ შორის სასამართლო კონტროლით და ა.შ[42]. ბოლოს, განხორციელებული ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს და სახელმწიფოს ევალება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ და ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სრულად ამოქმედების თარიღის შესახებ[43].

როგორ არის შესაძლებელი საგანგებო მდგომარეობის პირობებში ეკლესიაში შეკრების აკრძალვა?

როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი ასპექტის (Forum Externum) შეზღუდვას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს, თუმცა 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი საგანგებო მდგომარეობისას რელიგიისა და რწმენის თავისუფლებიდან დეროგაციის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამიტომ, მართალია დეკრეტით არ შეიძლება ეკლესიაში შეკრების აკრძალვა თუმცა აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელია ჩვეულებრივი წესით, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. ამ მხრივ, ხელისუფლებას ჰქონდა/აქვს შემდეგი ალტერნატივები:

1) საქართველოში მოქმედებს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია: არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას“. ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: ყველა ადამიანი ვალდებულია: „შეწყვიტოს საქმიანობა, თუ ის საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას.“ ის, რომ კორონავირუსი სწრაფად და მარტივად გადამდებ დაავადებას წარმოადგენს მეცნიერულადაა დადასტურებული. შესაბამისად, ეკლესიაში ადამიანთა თავყრილობაში მონაწილეობა, სადაც, როგორც წესი, მრავალი ადამიანი ერთ სივრცეში მცირე დისტანციის დაშორებით იკრიბება, ქმნის კორონავირუსის გავრცელების საფრთხეს და იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას. აღნიშნული რისკები იზრდება მითუმეტეს მაშინ, როდესაც რელიგიური რიტუალის შესასრულებლად ადამიანები ერთი და იმავე ზედაპირს ეხებიან (მაგალითად, ემთხვევიან ჯვარს/ხატს ან ეზიარებიან ერთი და იმავე კოვზით). ამდენად, ეკლესიაში შეკრება და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხისშემცველი

[39] Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights by the Council of Europe, 31th December 2019, § 9.
[40] Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights by the Council of Europe, 31th December 2019, § 9.
[41] Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights by the Council of Europe, 31th December 2019, § 9.
[42] Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights by the Council of Europe, 31th December 2019, § 9.
[43] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლი.

რელიგიური რიტუალების ჩატარება, <u>წარმოადგენს ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევას.</u>

ამ დროს კორონავირუსის გავრცელების რისკი, ცხადია, ზუსტად იგივეა (ან კიდევ უფრო მეტი) ეს ადამიანები, ანალოგიური რაოდენობითა და დისტანცირებით, არა ეკლესიაში, არამედ - სხვა ადგილას რომ იკრიბებოდნენ, სადაც ხელისუფლება, სწორედაც კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მოტივით, კრძალავს შეკრებას და მასში მონაწილეებს აკისრებს პასუხისმგებლობას. ხელისუფლებამ ზუსტად ანალოგიური სტანდარტი უნდა გამოიყენოს ეკლესიაში შეკრებილთა მიმართაც, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, კორონავირუსის გავრცელების მასშტაბურობის საფრთხესთან მიმართება აქვს არა შეკრების ადგილს (არ აქვს მნიშვნელობა ეს ხდება ეკლესიაში თუ არასარიტუალო დარბაზში), არამედ - შეკრებილ ადამიანთა რაოდენობასა. მათ შორის არსებულ დისტანციას და კონტაქტის ფორმას.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ზემოაღნიშნული ვადებულების დარღვევაზე ყურადღება არ გაუმახვილებია. რაც მნიშვნელოვანია რომ შეიცვალოს, რათა სულ მცირე სწორი და კონსტიტუციურ ვალდებულებებთან შესაბამისი მესიჯები ცხადდებოდეს ხელისუფლების მხრიდან.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი ვალდებულებას ისე ადგენს, რომ სანქციას არ განსაზღვრავს, თუმცა ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია: <u>„ამ მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.“</u>

სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა ექსპლიციტურად არ განსაზღრავს, თუ რა სანქცია უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ შემთხვევაში. თუმცა გასათვალისწინებელია ამ მხრივ სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნისათვის“. აგრეთვე საინტერესოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43-ე მუხლის, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას „სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევისათვის.”

ამდენად, ეროვნული კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ მოთხოვნების ჩამონათვალს, რისი დაცვაც საქართველოში მცხოვრები თითოეული ადამიანის ვალდებულებაა, იგი ასევე აძლევს საბაზისო საფუძველს ხელისუფლებას სულ მცირე ჰქონდეს რეაქცია საპატრიარქოსა და ცალკეული სასულიერო პირების, ისევე როგორც მრევლის იმ მოქმედებებზე, რაც საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

2) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია: „დაიცვას სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები“. აღნიშნული ნორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ კანონქვემდებარე აქტით განისაზღვროს სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები იმდაგვარად, რომ პანდემიის დროს ეკლესიაში გარკვეული რელიგიური რიტუალების შესრულება აკრძალვის ფარგლებში მოექცეს.

3) მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტს ჰქონდა შესაძლებლობა, ცვლილება განეხორციელებინა კანონმდებლობაში, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური გზა იქნებოდა. კერძოდ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი ვალდებულებების აღსრულების მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დამკისრებელი განჭვრეტადი ნორმების არსებობა. ასეთი დებულებები

შეიძლებოდა გაწერილიყო ერთი მხრივ ადმინსტრაციულ სამართალდარღვევათა, მეორე მხრივ კი სისხლის სამართლის კოდექსში.

აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებას. კერძოდ, 163-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „პარლამენტმა კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით.“ მე-2 პუნქტის თანახმად: „კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების 1 კვირის განმავლობაში. პლენარული სხდომის 1 დღეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.“

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტს არ მოუმოქმედებია ამ კუთხით არაფერი და არც გამოუხატავს რაიმე პოლიტიკური ნება. თუმცა პარალელურად საინტერესოა ის, რომ პარლამენტი, მაგალითად, აქტიურად მუშაობს ტყის კოდექსის მიღებაზე (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა 16 აპრილს დანიშნა საკომიტეტო მოსმენა, თუმცა მოგვიანებით გადადო[44]), რითაც საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყის ფართობი 20 ჰა-სთან ერთად. ამის გათვალისწინებით, მით უფრო რთული წარმოსადგენია ის, რომ პარლამენტს არ შეუძლია სხვა, უფრო საჩქარო ცვლილებების მიღება, რისი საჭიროების წინაშეც დღეს ქვეყანა დგას.

სხვა ქვეყნების მიერ მიღებული ზომები

საქართველოს ხელისუფლების მიერ შესაძლო განსახორციელებელ შეზღუდვებზე მსჯელობისას რელევანტურია სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. ევროპის მასშტაბით სახელმწიფოება გაატარეს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც სიმკაცრის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო და დაბალი[45]. ძალიან მაღალი სიმკაცრის ღონისძიებები განახორციელეს, მაგალითად, ინგლისმა და გერმანიამ.

ინგლისში მიღებული რეგულაციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ღვთისმსახურების ადგილზე/დაწესებულებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ საგანგებო მდგომარეობის ვადის განმავლობაში ეს ადგილი/დაწესებულება დაკეტილი იყოს, გარდა გამონაკლისებისა[46]. საგამონაკლისო შემთხვევებს წარმოადგენს ღვთისმსახურების ადგილის გამოყენება დასასაფლავებლად, ინტერნეტით, ტელევიზიით ან რადიოთი ღვთისმსახურების ტრანსლაციისათვის და ნებაყოფლობითი აუცილებელი სერვისების ან გადაუდებელი საზოგადოებრივი დახმარების სერვისების გასაწევად (საკვების ბანკის, უსახლკაროთა ან მოწყვლადი ადამიანების მხარდაჭერის, სისხლის დონაციის ან საგანებო ვითარებაში მხარდაჭერის ჩათვლით)[47]. რეგულაცია საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვიდან გამონაკლისად ითვალისწინებს დაკრძალვაზე დასწრებას, ასევე რელიგიის მინისტრის ან

---

[44] <https://netgazeti.ge/news/443652/?fbclid=IwAR2r-_RBmhQWaHzUC6ULCLFy4nM24xudvJaNnouExyTDeJxAWSi1WiXmsOY> [ბოლო ნახვა 17.04.2020]

[45] იხ: < https://theconversation.com/coronavirus-how-new-restrictions-on-religious-liberty-vary-across-europe-135879?fbclid=IwAR1noDSg2RFMOF_rEp-4rSXYM4gFkP2fy_Ebci7OwP3OQP8svz0MSs9UXi4> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[46] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020]

[47] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020]

ღვთისმსახურების (worship) ლიდერის მიერ ღვთისმსახურების ადგილზე მისვლას[48], მაგრამ ამ ნორმებით წესრიდგება გადაადგილების და არა რელიგიის თავისუფლება. ამასთანავე, საჯარო ადგილას ორზე მეტი პირის შეკრებიდან გამონაკლისია დაკრძალვაზე დასწრება, მაგრამ ეს წესიც ეხება არა რელიგიის, არამედ შეკრების უფლებას[49]. ასევე მნიშვნელოვანია რეგულაციის აღსრულების წესი. აღსრულება ევალებათ შემდეგ რელევანტურ პირებს: კონსტებლს, პოლიციის საზოგადოების მხარდაჭერის ოფიცერს, ამ რეგულაციის მიზნისათვის სახელმწიფო მინისტრის (Secretary of State) მიერ დადგენილ პირს და ამ რეგულაციის მიზნისათვის ადგილობრივი ორგანოს მიერ რეგულაციის მე-4 და მე-5 მუხლებთან დაკავშირებით დადგენილ პირს[50]. ამასთანავე, რელევანტური პირი უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი აუცილებელი ზომა, რათა აღასრულოს რეგულაციის მე-4, მე-5 და მე-7 მუხლი, ანუ, მათ შორის, ღვთისმსახურების ადგილებთან დაკავშირებული შეზღუდვა (მე-5 მუხლი)[51]. იგი ასევე უფლებამოსილია პირს მისცეს ამკრძალავი მითითება/შენიშვნა (prohibition notice), თუ გონივრულად მიაჩნია, რომ პირი არღვევს მე-4 ან მე-5 მუხლს და შენიშვნა/მითითება აუცილებელი და მომდევნო დარღვევის პრევენციის მიზნის პროპორციულია[52]. სამართალდარღვევას ახორციელებს პირი, რომელიც 1. გონივრული საპატიო მიზეზის გარეშე არღვევს მე-4, მე-5, მე-7, მე-8 მუხლს; არღვევს მე-6 მუხლს; 2. ხელს უშლის გონივრული საპატიო მიზეზის გარეშე პირს, რომელიც ამ რეგულაციით გათვალისწინებულ ფუნქციას ასრულებს; 3. გონივრული საპატიო მიზეზის გარეშე ეწინააღმდეგება მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მითითებას ან არ დაემორჩილება რელევანტური პირის მიერ გაცემულ მე-8 მუხლით გათვალისწინებულ გონივრულ მითითებას ან ამკრძალავ შენიშვნას[53]. ხსენებული სამართალდარღვევები ბრალდებისა და სასამართლო პროცესის გარეშე (summary conviction) ისჯება ჯარიმით[54], რომლის მინიმალური რაოდენობაა 60 გირვანქა სტერლინგი, ხოლო მაქსიმალური - 960[55]. რეგულაცია ძალაში შევიდა 2020 წლის 26 მარტის 13 საათზე მხოლოდ ინგლისში[56] და ძალას დაკარგავს ძალაში შესვლის დღიდან 6 თვეში[57]. რეგულაციები ექვემდებარება ყოველ 21 დღეში ერთხელ გადახედვას[58] და სახელმწიფო მინისტრი (Secretary of State) უფლებამოსილია გამოსცეს დირექტივა რეგულაციის ნებისმიერი მოთხოვნის ან შეზღუდვის შეწყვეტის შესახებ, როგორც კი სახელმწიფო მინისტრი ამ მოთხოვნას ან შეზღუდვას

---

[48] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის g და k ქვეპუნტები, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[49] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-7 მუხლის c პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[50] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-8 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[51] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[52] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[53] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-9 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[54] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[55]The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-10 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[56] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, 1-ლი მუხლი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[57] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-12 მუხლი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[58] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-3 მუხლი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

აღარ მიიჩნევს აუცილებლად კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საპასუხო რეაგირებისათვის, პრევენციისთვის, დაცვისა ან კონტროლისათვის[59].

ინგლისის მსგავსად, მკაცრი ღონისძიებები განხორციელდა გერმანიაში. თავად ფედერალურ დონეზე ფედერალურმა ხელისუფლებამ და ფედერალური მიწების მინისტერ-პრეზიდენტებმა შეთანხმებას მიაღწიეს საერთო სახელმძღვანელო წესებზე (guidelines), რომელთა მიხედვით, ეკლესიებში, მეჩეთებში, სინაგოგებში შეკრებები და სხვა რელიგიური საზოგადოებების შეკრებები აიკრძალა[60]. რაც შეეხება ფედერალური მიწების დონეს, თითოეულმა მიწამ მიიღო საკუთარი და განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია. ბავარიამ, მაგალითად, მიიღო ბრძანება, რომლის მიხედვით, დაწესდა მთლიან ფედერალურ მიწაში ღონისძიებებისა და შეკრებების აკრძალვა. ეს აკრძალვა ასევე ვრცელდება ეკლესიებში, მეჩეთებში, სინაგოგებში შეკრებებსა და სხვა სარწმუნოებრივი საზოგადოებების შეკრებებზე[61], თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს შეზღუდვა დასათაურებულია არა როგორც რელიგიის, არამედ ღონისძიებებისა და შეკრებების აკრძალვა. ამასთანავე, დაშვებულია საგამონაკლისო ნებართვის მინიჭება ადგილობრივი ორგანოს მიერ, თუ იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეესაბამება ინფექციისგან დაცვის კანონს[62]. ამასთანავე, განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ბრძანების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის მიუხედავად, ღონისძიების ან შეკრების ჩატარება ან მასში მონაწილეობა არის სამართალდარღვევა ინფექციისგან დაცვის კანონის 73-ე მუხლის 1(a) პუნქტის მიზნებისთვის[63] და, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დასჯადია ჯარიმით 2500 ევროს ოდენობით[64].

---

[59] The Health Protection (Coronavirus, Restrictions) (England) Regulations 2020, მე-3 მუხლი, იხ: <http://www.legislation.gov.uk/uksi/2020/350/contents/made> [ბოლო ნახვა 17.04.2020]

[60]იხ: < https://www.bundesregierung.de/breg-en/news/guidelines-to-slow-the-spread-of-the-coronavirus-1731708 > [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[61] Bayerische Infektionsschutzmaßnahmenverordnung (BayIfSMV) vom 27. März 2020 (BayMBl. 2020 Nr. 158, BayRS 2126-1-5-G), die zuletzt durch Verordnung vom 31. März 2020 (GVBl. S. 194, BayMBl. Nr. 162) geändert worden ist, 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი; გერმანული ვერსია იხ: < https://www.gesetze-bayern.de/(X(1)S(il4vpunglhcsmyb1nrwoeppn))/Content/Document/BayIfSMV/true?AspxAutoDetectCookieSupport=1 >, ინგლისურად Bavarian Infection Protection Measures Ordinance (BayIfSMV) of 27 March 2020 (BayMBl. No. 158, BayRS 2126-1-5-G), which was amended by the Ordinance of 31 March 2020 (BayMBl. No. 162), ინგლისური ვერსია იხ: < https://www.stmgp.bayern.de/wp-content/uploads/2020/04/bayifsmv_en_barrierefrei.pdf > [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[62] Bayerische Infektionsschutzmaßnahmenverordnung (BayIfSMV) vom 27. März 2020 (BayMBl. 2020 Nr. 158, BayRS 2126-1-5-G), die zuletzt durch Verordnung vom 31. März 2020 (GVBl. S. 194, BayMBl. Nr. 162) geändert worden ist, 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი; გერმანული ვერსია იხ: < https://www.gesetze-bayern.de/(X(1)S(il4vpunglhcsmyb1nrwoeppn))/Content/Document/BayIfSMV/true?AspxAutoDetectCookieSupport=1 >, ინგლისურად Bavarian Infection Protection Measures Ordinance (BayIfSMV) of 27 March 2020 (BayMBl. No. 158, BayRS 2126-1-5-G), which was amended by the Ordinance of 31 March 2020 (BayMBl. No. 162), ინგლისური ვერსია იხ: < https://www.stmgp.bayern.de/wp-content/uploads/2020/04/bayifsmv_en_barrierefrei.pdf > [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[63] Bayerische Infektionsschutzmaßnahmenverordnung (BayIfSMV) vom 27. März 2020 (BayMBl. 2020 Nr. 158, BayRS 2126-1-5-G), die zuletzt durch Verordnung vom 31. März 2020 (GVBl. S. 194, BayMBl. Nr. 162) geändert worden ist, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი; გერმანული ვერსია იხ: < https://www.gesetze-bayern.de/(X(1)S(il4vpunglhcsmyb1nrwoeppn))/Content/Document/BayIfSMV/true?AspxAutoDetectCookieSupport=1 >, ინგლისურად Bavarian Infection Protection Measures Ordinance (BayIfSMV) of 27 March 2020 (BayMBl. No. 158, BayRS 2126-1-5-G), which was amended by the Ordinance of 31 March 2020 (BayMBl. No. 162), ინგლისური ვერსია იხ: < https://www.stmgp.bayern.de/wp-content/uploads/2020/04/bayifsmv_en_barrierefrei.pdf > [ბოლო ნახვა 17.04.2020].

[64]Gesetz zur Verhütung und Bekämpfung von Infektionskrankheiten
beim Menschen (Infektionsschutzgesetz - IfSG), ქართულად ადამიანებს შორის ინფექციური დაავადებების პრევენციისა და ბრძოლის კანონი, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი, იხ: < https://www.gesetze-im-internet.de/ifsg/> [ბოლო ნახვა 17.04.2020].

დასკვნა

- საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირთა უფლებას, შეიკრიბონ ეკლესიაში და მონაწილეობა მიიღონ საღვთისმსახურო რიტუალში. ეს უფლება დაცულია საქართველოს მიერ რატიფიცირებული ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

- გამომდინარე იქიდან, რომ ეკლესიაში შეკრება და საღვთისმსახურო რიტუალში მონაწილეობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით არის დაცული, საგანგებო მდგომარეობის საფუძველზე მიღებული დეკრეტით მისი შეზღუდვა დაუშვებელია, რადგან საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნული უფლებიდან დეროგაციის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

- ეკლესიაში შეკრება და საღვთისმსახურო რიტუალში მონაწილეობა დაცულია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ე.წ გარეგანი განზომილებით (Forum Externum). საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი კი უშვებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. შესაბამისად, მართალია დეკრეტით არ შეიძლება ეკლესიაში შეკრებისა და რიტუალში მონაწილეობის მიღების აკრძალვა, თუმცა აღნიშნულის გაკეთება ჩვეულებრივი წესით, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, დასაშვებია.

- კერძოდ, საქართველოს ხელისუფლებას ეკლესიაში შეკრებისა და საღვთისმსახურო რიტუალში მონაწილეობის მიღების აკრძალვა შეუძლია შემდეგი ალტერნატიული გზებით:
    - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს „არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას“. <u>ეკლესიაში შეკრება და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხისშემცველი რელიგიური რიტუალების ჩატარება, წარმოადგენს სწორედ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევას.</u> თუმცა ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს, ამ დრომდე სამწუხაროდ ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, რაც მნიშვნელოვანია რომ შეიცვალოს, რათა სულ მცირე სწორი და კონსტიტუციურ ვალდებულებებთან შესაბამისი მესიჯები ცხადდებოდეს ხელისუფლების მხრიდან.
    - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია: „დაიცვას სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები“. აღნიშნული ნორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ კანონქვემდებარე აქტით განისაზღვროს სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები იმდაგვარად, რომ პანდემიის დროს ეკლესიაში გარკვეული რელიგიური რიტუალების შესრულება აკრძალვის ფარგლებში მოექცეს.
    - მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტს ჰქონდა შესაძლებლობა, ცვლილება განეხორციელებინა კანონმდებლობაში, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური გზა იქნებოდა. კერძოდ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი ვალდებულებების აღსრულების მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დამკისრებელი განჭვრეტადი ნორმების არსებობა. ასეთი დებულებები შეიძლებოდა გაწერილიყო ერთი

მხრივ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, მეორე მხრივ კი სისხლის სამართლის კოდექსში.

- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპული ქვეყნების, მათ შორის ინგლისისა და გერმანიის, მიერ გატარებული ღონისძიებების ანალიზი აჩვენებს, რომ არაერთმა დასავლეთ-ევროპულმა ქვეყანამ ძალიან მკაცრ ზომებს მიმართა, მათ შორის, რელიგიური რიტუალების ჩატარებასთან დაკავშირებით, რათა ახალი კორონავირუსის უფრო ფართო გავრცელება თავიდან აერიდებინათ.

დოკუმენტზე მუშაობდნენ:

მარინე კაპანაძე - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორი

სალომე გომართელი- სტაჟიორი

თორნიკე ბარბაქაძე- სტაჟიორი